# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.893)

7 - 14 სექტემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო ოლიმპზე თავდაცვის მინისტრად ბრუნდება

გვ. 3

რა ღირს სკოლაში წასვლა?

გვ. 5

ჯილდოდ – რომაული არდადეგები

გვ. 6

## სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაცია დაიწყო

გვ. 3

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ გამარჯვებასა და ზემო მაჩხაანში დაათვალიერა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, წლის ბოლომდე რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის კიდევ 4 სოფლის ამბულატორიას ჩაუტარდება. უკვე არსებობს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებთანაც მერია ხელშეკრულებას მიმდინარე კვირის ბოლომდე გააფორმებს. შესაბამისად, აღდგენითი სამუშაოებიც უახლოეს პერიოდში დაიწყება.

წელს რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ექვს სამედიცინო დაწესებულებას ჩაუტარდება.

## დედოფლისწყაროში შინაური ფრინველი იხოცება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და მიმდებარე სოფლებში ფრინველის დაავადება გავრცელდა. ორ კვირაზე მეტია, მოსახლეობას მასიურად ქათამი ეხოცება.

ადგილობრივების ინფორმაციით, ფრინველი ავად ხდება და დილით მკვდარი ხვდებათ. თითო ოჯახს საშუალოდ 50-მდე ფრთა ფრინველი გაუნადგურდა. სურსათის უვნებლობის სამსახურის ჯგუფი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვითარების შესასწავლად შემთხვევის ადგილზე 6 სექტემბერს იმყოფებოდა.

მომხდარის მიუხედავად, დაზარალებულებს სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის დახმარების სათხოვნელად არ მიუმართავთ.

„რა დაავადებაა, არ ვიცით, ძალიან სწრაფად კლავს ფრინველს. აცრა აღარ შველის. რაც მყავდა, სრულად დამეხოცა. საჭმელს აღარ ჭამდნენ, მობუზულები იყვნენ. ნაწილი დილით დახოცილი გვხვდებოდა და ნაგავზე გადავყარეთ. რომლებსაც დაბუზულობა შევნიშნეთ, ისინი ჩვენ თვითონ დავკალით. 30 ქათამი მაინც მკვდარი გადავაგდეთ, ასე იყვნენ ჩვენი მეზობლებიც. სხვებიც ამბობენ, რომ ფრინველი მათაც მასიურად გაუწყდათ, - აცხადებენ ადგილობრივები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალში ამბობენ, რომ მათთან შეტყობინება შევიდა, მუნიციპალიტეტში ფრინველი ნამდვილად იხოცება, თუმცა, ამას მასობრივი ხასიათი არ აქვს.

„რეკომენდაციები გავეცით, როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები. სამწუხაროდ, მათი შეტყობინება დაგვიანებული იყო, როცა სრულად დაეხოცათ შინაური ფრინველი, შემდეგ მოგვმართეს. მნიშვნელოვანია, რომ პირველივე შემთხვევის დროს შეგვატყობინონ, რათა რეაგირება დროული იყოს. ნიმუშს დედაქალაქში გადავგზავნით და ლაბორატორიულად მოხდება მიზეზის გამოკვლევა“, “ - აცხადებენ სააგენტოს ადგილობრივ ფილიალში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, გიორგი მესხიშვილის განცხადებით, სახელმწიფო ფრინველის აცრას, სავალდებულო წესით აღარ აწარმოებს.

„მოსახლეობამ უნდა შეგვატყობინოს და ადგილზე დეზინფექციას ჩავატარებთ და კონსულტაციებსაც გავცემთ“- თქვა მესხიშვილმა.

C M Y K

# გიორგი გახარია 20 ივნისზე - ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ იქნება დათრგუნული შედეგებით ისე, როგორც მე ვარ ამ ღამის შემდეგ

**„ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ იქნება დათრგუნული შედეგებით ისე, როგორც მე ვარ ამ ღამის შემდეგ“**, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს პარლამენტში განუცხადა.

მისი განცხადებით, სიმართლეა ის, რომ 20 ივნისის ღამეს მოქალაქეები და პოლიციელები დაშავდნენ.

როგორც გახარიამ აღნიშნა, ამავდროულად სიმართლეა ისიც, რომ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებმა მოუწოდეს მოქალაქეებს სახელმწიფო ინსტიტუტზე შტურმისკენ.

**„სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ 20 ივნისს, როდესაც ადამიანები გამოთქვამდნენ მშვიდობიან პროტესტს, ზოგიერთმა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსმა მათ მოუწოდა და ისინი ორგანიზებულად შტურმით წაიყვანა სახელმწიფო ინსტიტუტზე.** უბედურება და სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ ამის შედეგად ჩვენ გვყავს როგორც დაზარალებული მოქალაქეები, ისე დაზარალებული პოლიციელები. ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ იქნება დათრგუნული შედეგებით ისე, როგორც მე ვარ ამ ღამის შემდეგ. სიმართლე არის იმაში, რომ ჩვენ გვყავს 2 ადამიანი, რომლებმაც დაკარგეს თვალი. ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ამასთან ერთად, სიმართლე არის ის, რომ ჩვენმა უპასუხისმგებლო ოპოზიციამ თვალიდან ხელი უნდა მოიშოროს და სიმართლეს თვალი გაუსწოროს. ჩვენს საზოგადოებას უნდა ვესაუბროთ სიმართლის და პასუხისმგებლიანი ენის საშუალებით და არა იმ სპექტაკლებით, რომლებსაც პარლამენტში ვაწყობთ. პატივი უნდა ვცეთ ინსტიტუტებს,“ - განაცხადა გიორგი გახარიამ.

შეგახსენებთ, მთავრობის ახალი შემადგენლობის მოსმენა „ნაციონალური მოძრაობის” ფრაქციის ფორმატში ჩაიშალა. ნაციონალური მოძრაობის” ფრაქციის მოსმენაზე, როდესაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი გიორგი გახარიას კითხვებზე პასუხების გაცემას იწყებდა, სალომე სამადაშვილი სხდომის შეწყვეტის ინიციატივით გამოვიდა. მან მოუწოდა დამსწრეებს, შეეწყვიტათ სხდომა, რადგან „პარლამენტში არ უშვებენ გახარიას მიერ თვალდათხრილ მოქალაქეებს“. სამადაშვილის ინიციატივას ფრაქციის თავმჯდომარე რომან გოცირიძე დაეთანხმა.

# ვახტანგ გომელაური – შსს-ში მიმდინარეობს ე.წ. სისტემური განახლების პროცესი

***პარლამენტის ოთხი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების ფარგლებში, შს მინისტრობის კანდიდატ ვახტანგ გომელაურს მოუსმინეს. გომელაურმა სისტემური განახლების პროცესზე ისაუბრა, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ რეფორმებს, შინაარსობრივ და საკანონმდებლო ცვლილებებს. როგორც შს მინისტრობის კანდიდატმა პარლამენტში აღნიშნა, სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე რეფორმები შეეხება სამინისტროს ყველა ძირითად საპოლიციო დანაყოფს, კრიმინალურ, საპატრულო და სასაზღვრო პოლიცია.*** “წარმოგიდგენთ შსს-ს სიახლეებს, რეფორმებს, რა გატარდა აქამდე და მომავალში რა იგეგმება. ჩვენი მიზანია ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და, ამავდროულად, მოქალაქეების მხრიდან სამართალდამცავი სტრუქტურის მიმართ ნდობის შემდგომი ამაღლება. **„როგორც ცნობილია, ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს ე.წ. სისტემური განახლების პროცესი, რომლის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა. სისტემური განახლება მოიცავს სტრუქტურულ რეფორმებს, ასევე შინაარსობრივ და საკანონმდებლო ცვლილებებს. ამასთან, თითოეული ცვლილება ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებს, როგორიცაა საპოლიციო საქმიანობის ხარისხი, ადამიანის უფლებები და ეფექტიანობა.** „სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე რეფორმები შეეხება სამინისტროს ყველა ძირითად საპოლიციო დანაყოფს, როგორიცაა: კრიმინალური და საპატრულო პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია. რეფორმირების პროცესში ხორციელდება სისტემის სრული ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და საკანონმდებლო ბაზის დახვენა,” - განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში, კრიმინალურ პოლიციაში მიმართულებების გამიჯვნის პარალელურად, უნდა გაიზარდოს არსებულ გამომძიებელთა კვალიფიკაცია და სისტემაში ინტენსიურად მოხდეს ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების მოზიდვა და მათი პროფესიული მომზადება. გომელაურის თქმით, იგეგმება საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდა, ექსპრესმომსახურების მობილურ სერვისცენტრების ამოქმედება ისეთ რაიონებში, სადაც შეზღუდულია საპატრულო პოლიციის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. როგორც გომელაური აცხადებს, საგზაო მოძრაობის წესების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, მობილური აპლიკაციის შექმნა იგეგმება, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, დააფიქსიროს და მიაწოდოს საპატრულო პოლიციას მის მიერ გამოვლენილი საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტები. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ შს სამინისტროში ხელფასების ზრდა მომავალ წლებშიც გაგრძელდება, რაც სამინისტროს თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და მოტივაციის ამაღლებას ემსახურება. როგორც გომელაურმა აღნიშნა, სამინისტროს გამართული ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

სამინისტროს გამართული ფუნქციონირების, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ამ მიზნით, სამინისტროში არაერთი აქტივობა განხორციელდა. კერძოდ, დაინერგა ანაზღაურებადი სტაჟირების სისტემა, რაც სისტემაში ახალი მოტივირებული კადრების მოზიდვას ემსახურება. ანაზღაურება გაეზარდა 22 ათას თანამშრომელს, მათ შორის ოპერატიული მიმართულებით მომუშავე პირებს, დაცვის პოლიციასა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს. ხელფასების ზრდა მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ყოველივე ზემოხსენებული ემსახურება სამინისტროს თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და მოტივაციის ამაღლებას. თუმცა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმის ფარგლებში იგეგმება შემდგომი აქტივობები. ჩვენ ვგეგმავთ, გავაუმჯობესოთ სამსახურში მიღების წესი. პოლიციის აკადემიის ბაზაზე პერმანენტულად განხორციელდება სამინისტროს თანამშრომლების მომზადება/გადამზადება. განვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები საპოლიციო საქმიანობაში იდენტიფიცირებული გამოწვევების ადეკვატურად. კარიერული წინსვლა დაეფუძნება ობიექტურ და გამჭვირვალე კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას. პოლიციელთათვის გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები და ეტაპობრივად გაიზრდება მათი ანაზღაურება. ამასთანავე, განვითარდება სტაჟირების სისტემა, რაც უზრუნველყოფს სამინისტროში მოტივირებული და კვალიფიციური კადრების მოზიდვას,” - განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შს მინისტრობის კანდიდატმა მადლობა გადაუხადა იმ მეხანძრე-მაშველებს, რომლებიც სპეციოპერაციისას ორმხრივი ცეცხლის პირობებში ხანძარს აქრობდნენ. მისი თქმით, ამ კუთხით, ეფექტიანობის გაზრდისთვის დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საოპერაციო რესურსების განვითარება, მზადყოფნის დონის ამაღლება და რეაგირების ხარისხის გაზრდა. როგორც მან აღნიშნა, სახანძრო-სამაშველო ობიექტების მშენებლობა ანაკლიაში, ზუგდიდში, მარტვილში, სიღნაღში, ბორჯომში, ჩოხატაურში, ჩხოროწყუსა და აბასთუმანში იგეგმება. გომელაურის თქმით, სანაპირო დაცვის შესაძლებლობებისა და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის განვითარება კვლავაც გაგრძელდება. “დღეს ჩვენი სანაპირო დაცვა ძლიერია და ეს დიდი დამსახურებაა ამერიკული მხარის. როცა ირაკლი ღარიბაშვილი იყო მინისტრი, ვიყავი საზღვრის კურატორი. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და დღეს რომ არსებობს სანაპირო დაცვა, ძალიან დიდი დამსახურებაა ამერიკული მხარის - ბათუმის ახალი პორტი, ფოთის გაძლიერებული პორტი და ა.შ.”,-განაცხადა ვახტანგ გომელაურმა. ჟურნალისტებთან გომელაურმა ასევე ისაუბრა პრეზიდენტის მიერ პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებულის შეწყალებაზე. სალომე ზურაბიშვილის მიერ პოლიციელის მკვლელობაში მსჯავრდებულ რამაზ დევაძის შეწყალების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას საპასუხოდ მან განაცხადა, რომ ეს ფაქტი მისთვის მიუღებელია. მძიმე დანაშაულის ჩამდენი მსჯავრდებულების შეწყალება არ უნდა ხდებოდეს. კითხვაზე, გრძნობს თუ არა სუს-ის უფროსი, თემირლან მაჩალიკაშვილის სახლში ჩატარებულ სპეციოპერაციაზე პასუხისმგებლობას, შს მინისტრობის კანდიდატმა იპასუხა: „კითხვას მე ასე შემოგიბრუნებთ, ჩატაევი და მისი თანამზრახველების მკვლელობაზე რატომ არ ვგრძნობ პასუხისმგებლობას? მაგას რატომ არ მეკითხებით, ეს არ არის საინტერესო? ყველა ვინც იქ დაიღუპა, ვინც ჩატაევის გვერდით იყო, მათი ოჯახებიც საუბრობენ ჩეჩნეთში, ზოგი რუსეთში და ზოგი გერმანიაში. მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ, თემირლანი მოტყუებით იყო ამ ჯგუფთან ჩათრეული. ის იყო 18 წლის ბავშვი. ჩატაევი იყო გამოცდილი პიროვნება. ნაომარიც, მეომარიც და ა.შ.”

***„ყველაზე მარტივია გააკეთებინო არასრულწლოვან 15-17 წლის ადამიანს კრიმინალური დანაშაული, ვიდრე 30-40 წლის კაცს. მას ჰქონდა ხელყუმბარა, არ ჰქონდა, უნდა აეფეთქებინა თუ არა თავი - ამას პროკურატურა იძიებს, ამაზე რა პასუხისმგებლობა უნდა ავიღო, უკაცრავად?! თუ იტყვიან რომ დამნაშავეა, დაისჯება და ჩაჯდება ციხეში, მე რატომ უნდა ავიღო პასუხისმგებლობა?! ერთი რაღაც მინდა ყველამ იცოდეს - არსებობს სისხლის სამართლის კანონი, ასევე იარაღის გამოყენების კანონი. მე როცა ვარ პატრულის თანამშრომელი, იგივე სპეცრაზმელი, მაქვს იარაღი, იქ მე არ ვეკითხები არც მინისტრს და არც ჩემს ხელმძღვანელს, როცა შევდივარ ოთახში,*** ტერორისტი იქნება თუ კრიმინალი, როგორ უნდა მოვიქცე, იქ ჩემი თავის მინისტრიც მე ვარ და მე ვწყვეტ ვესროლო თუ არა. მე რომ გავისვრი, მე უნდა ვაგო პასუხი და არა ჩემმა მინისტრმა და ჩემმა დეპარტამენტის უფროსმა,” - განაცხადა გომელაურმა. მისთვის ასევე მიუღებელია იმის თქმა, რომ 20 ივნისს მხოლოდ მოქალაქეები იყვნენ მართლები და პოლიციელებმა დააშავეს. ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, იქნება ეს მოქალაქე, თუ პოლიციელი, ყველამ პასუხი უნდა აგოს. 20 ივნისს რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ დაზარალდნენ როგორც მოქალაქეები, ასევე პოლიციელები. 80-ზე მეტი პოლიციელი მეორე დღეს საავადმყოფოში იწვა და მკურნალობდა, ასევე ერთ-ერთმა პოლიციელმა საერთოდ მხედველობა დაკარგა და მეორეს მხედველობის რაღაც პროცენტები დარჩა. ძალიან ცუდია, რომ მოქალაქეები დაშავდნენ. ძნელი იყო კონტროლირება. რომ დამთავრდება ყველაფერი, მერე ადვილია თქმა, ეს ასე რატომ ქნეს, ისე რატომ არ ქნეს. ძალიან რთული იყო. 26-ე წელია, ვმუშაობ და როცა შენს მეწყვილეს ხედავ, რომ ათეულობით ადამიანი იტაცებს, გაჰყავს და უკაცრავად და ფეხით თელავენ, აგლიჯავენ ჩაფხუტებსა და ფორმას, ცემენ - შეიძლება გადაცდომები იყო და იყო კიდევაც. პროკურატურა და სასამართლო არსებობს. პასუხი უნდა აგოს აუცილებლად ყველამ. **ის, რომ მარტო მოქალაქეები იყვნენ მართლები და პოლიციელებმა დააშავეს, ასე არ შეიძლება, მივუდგეთ. ის ადამიანები იქ იდგნენ და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, რიგითიდან დაწყებული, მინისტრით დამთავრებული. მართლა დაიცვეს სახელმწიფოებრიობა. ალბათ 20 წლით უკან გადავარდებოდა მთელი ქვეყანა“**, - განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

# ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო ოლიმპზე თავდაცვის მინისტრად ბრუნდება

სამთავრობო ცვლილებებზე ათასი ჭორ-მართალის გავრცელება ჯერ კიდევ ორი-სამი თვის წინ დაიწყო, ბოლო დღეებში კი მასმედიამ თითქმის ბეჭედი დაუსვა - გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრად მოდის, ირაკლი ღარიბაშვილი კი ისევ შინაგან საქმეთა მინისტრად ბრუნდებაო...

ერთი შეხედვით ყველაფერი იმ სცენარით მიმდინარეობდა, რაც ჟურნალისტებმა სამთავრობო სტრუქტურების კულუარებიდან გამოიტანეს - პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე გადადგა, მეორე დღეს კი მის ადგილზე შსს-ს უკვე ყოფილი მინისტრი გიორგი გახარია წარადგინეს, მაგრამ მოხდა დიდი სიურპრიზი-შსს-ს ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მართლაც ბრუნდება დიდ პოლიტიკაში, მაგრამ არა "მშობლიურ" შსს-ში, არამედ... თავდაცვის მინისტრად.

ეს სიურპრიზი ვერცერთმა ექსპერტ-პოლიტიკოსმა გამოიცნო და ვერც რომელიმე ჟურნალისტმა მოჰკრა ყური პარლამენტისა თუ მთავრობის აპარატის დერეფნებში.

ერთი შეხედვით, მართლაც ცოტა უცნაურად გამოჩნდებოდა, რომ "დიდ პოლიტიკაში" დაბრუნებული ირაკლი ღარიბაშვილი ისევ შსს-ს მინისტრის სავარძელში ჩამჯდარიყო, ანუ "მდინარეში მეორედ შევიდოდა", მაგრამ მეორე მხრივ თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას პოზიციებიც ძალიან მყარად მოჩანდა - იზორია ამერიკელებს ისე "ჩაეხუტა", რომ მის მინისტრობას არაფერი ემუქრებაო, - ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ჯარში.

მართლაც, ლევან იზორიამ, რომლის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა 2016 წლის 1 აგვისტოს, ასევე საკმაოდ დიდ სიურპრიზად იქცა ქართული არმიისთვის, სამწლიანი მინისტრობის პერიოდში საკმაოდ გაიმყარა პოზიციები, პირველ რიგში კი ამერიკელ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რისთვისაც გერმანული ენის მცოდნე მინისტრმა ინგლისური სასწრაფოდ დახვეწა.

გვინდა თუ არა ამის ხმამაღლა აღიარება, ფაქტია, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის - აშშ-ის ხელისუფლება დიდი დაკვირვებით უყურებს ჩვენთან მიმდინარე სამთავრობო საკადრო ცვლილებებს და კულუარებს მიღმა გარვეული რჩევებიც გაიცემა.

ეს არაოფიციალური "ტრადიცია", რაც შევარდნაძის დროიდან მოდის, ყოველთვის ზუსტად როდი ხორციელდებოდა, მაგალითად, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრად დანიშვნამ თბილისში მყოფი ამერიკელი სამხედრო მრჩევლების დიდი განცვიფრება გამოიწვია, რაც მათ გაოგნებაში გადავიდა იმის შემხედვარე, თუ რას

აკეთებდა თავდაცვის მინისტრის პოსტზე თითქმის ორი წლის განმავლობაში მყოფი ოქრუაშვილი.

სამაგიეროდ, აგვისტოს ომის შემდეგ თავდაცვის მინისტრად დავით სიხარულიძის დანიშვნამ პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერა გამოიწვია, რადგან იცოდნენ, რომ სიხარულიძე ოქრუაშვილივით ახალი წლის ცხინვალში აღნიშვნას, წინასწარ არ "დაანონსებდა"...

ლევან იზორია თავდაცვის მინისტრის პოსტს სამი წელი და ერთი თვე იკავებდა, რაც საკმაოდ დიდი პერიოდია, თუმცა, ამ მხრივ ვერ დაეწია დავით თევზაძეს, რომელიც 18 თავდაცვის მინისტრში, ყველაზე "ხანდაზმული" აღმოჩნდა - თავდაცვის სამინისტროს ხუთი წელი ხელმძღვანელობდა.

სამწლიანი მინისტრობის პერიოდში იზორიას გუნდი გამოირჩეოდა აქტიურობით, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ასპარეზზე, რაც საქართველოს პოლიგონებზე მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების გახშირებასა და მასშტაბების ზრდაში გამოიხატა, ამასთანავე მისი მინისტრობის დროს დაიწყო რიგი პროგრამების განხორციელება, რამაც მომავალში, წესით, ქართული არმიის გაძლიერებაზე უნდა იმუშაოს.

უსაფრთხოების საბჭოს მდივნად თავდაცვის უკვე ყოფილი მინისტრის ლევან იზორიას გადაყვანის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს საღ აზრს მოკლებული, რადგან წინა თანამდებობებზე მუშაობისას, მას დაუგროვდა ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების საჭირო გამოცდილება. ამასთანავე, უკეთესია, როდესაც უსაფრთხოების საბჭოს მდივანი, რომელიმე მოქმედი მინისტრი არ არის, რადგან მას მეტი დრო ექნება ძირითად და ასე მნიშვნელოვან სამუშაოს მთელი დრო დაუთმოს, მიუხედავად იმისა, რომ კანონში ჩაწერილია, რომ უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ერთ-ერთი მინისტრი უნდა იყოს.

ირაკლი ღარიბაშვილს ძალოვანი სტრუქტურის-შსს-ს მართვის ერთწლიანი და პრემიერ-მინისტრობის ორწლიანი გამოცდილება აქვს. მართალია, თავდაცვის სტრუქტურის მართვას თავისი ნიუანსები გააჩნია, მაგრამ შეუძლებელი არ არის.

კანონის თანახმად , თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების ფუნქციები კონკრეტულადაა გამიჯნული, ანუ სამოქალაქოებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ, სამხედროებმა კი თავისი, თუმცა, რამდენად ხდება არაოფიციალურად ჩარევა ერთმანეთის კომპეტენციებში (განსაკუთრებით კი სამოქალაქოებისა სამხედრობის საკითხებში) სხვა თემაა.

ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის სამინისტროში დიდი ალბათობით, საკუთარი გუნდით მივა, რაც დროში მეტ-ნაკლებად გაწელილ საკადრო ცვლილებების პროცესს განაპირობებს.

ახალ თავდაცვის მინისტრს (პარლამენტის მიერ მისი კანდიდატურის დამტკიცების შემდეგ) მოუწევს ორ, ძირითად "ფრონტზე ბრძოლა" - საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის დონის შენარჩუნება და გაზრდა, ასევე ქვეყნის შიგნით, ქართული არმიისთვის სამართებლივი და ფინანსური სახის უზრუნველყოფა, საერთო ჯამში ჩვენი თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის გასაძლიერებლად.

***საქმე ძალიან ბევრია გასაკეთებელი, რადგან 30-ათასიანი კოლექტივი, ფაქტობრივად, "ქვეყანას ქვეყანაში" წარმოადგენს და მას მუდმივი ყურადღება - მართვა სჭირდება და მალე ვნახავთ "ახალი სისხლის" - საქართველოს მე-19 თავდაცვის მინისტრის ხელში ქართულ არმიაში რა ცვლილებები განხორციელდება...***

# უნიკალური შანსი საქართველოსთვის – აშშ-ს რევოლუციური ენერგეტიკული შეთავაზება ევროპას

***რუსეთი, ევროპის ქვეყნებში თავისი მიზნის მისაღწევად ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს, მისი, როგორც იმპერიის მიზანია ევროპის ქვეყნები მასზე უფრო მეტად ენერგოდამოკიდებულები გახდნენ, რათა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, რაც რუსეთის პირდაპირი მიზანია. აშშ-ს ვიცე პრეზიდენტის მაიკ პენსი პოლონეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ენერგოდამოკიდებულების თემის წამოჭრა, ევროპის ქვეყნებისთვის მთავარი გზავნილი იყო. "რუსეთი საქართველოსა და უკრაინის დიდი ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას აგრძელებს. სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი ჩვენი ალიანსის დაშლას ცდილობს უკვე ნავთობის და გაზის მარაგების გამოყენებით. პოლონეთს მტკიცე პოზიცია აქვს და ჩვენ მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა უნდა მოვახერხოთ."- განაცხადა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.***

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ევროპის ქვეყნების რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის რესურსებზე საუბრობს. „აშშ-მ, პოლონეთმა და უკრაინამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს,რომლის მიხედვითაც მოხდება უკრაინისათვის დაახლოებით 6 მლრდ კუბური მეტრი თხევადი გაზის მიწოდება, ანუ აშშ-დან თხევადი გაზი ტანკერების მეშვეობით იქნება გადაზიდული პოლონეთის პორტში, სადაც თხევადი გაზის პლატფორმაა, საიდანაც თხევადი გაზის მიწოდება რევერსული სისტემით მოხდება პოლონეთიდან უკრაინაში. ენერგოპოლიტიკაში ფაქტობრივად მოხდა მესამე ტექნოლოგიური რევოლუცია, როდესაც ფიქლური დამუშავებით მოხდა თხევადი გაზის ტექნოლოგიებზე გადასვლა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ენერგოუსაფრთხოების პრინციპები. ამის საშუალებით, აშშ-ს გაუჩნდა ფიქლურ გაზზე ხელმისაწვდომობა, მან განავითარა თხევადი გაზის ტექნოლოგიების ათვისება, ამან შექმნა ის პრეცენდენტი, რომ აშშ პირველად ყველაზე მსხვილ ენერგომომხმარებლიდან გადაიქცა ყველაზე მსხვილ ენერგომწარმოებლად, ეს ძალიან სერიოზული ვითარებაა.

"იმ შემთხვევაში თუ, "ჩრთილოეთ ნაკადი 2"-ის პროექტი განხორციელდება,როდესაც რუსეთი გერმანიას და ევროკავშირის ქვეყნებს მიაწვდის 35 მლრდ კუბურ მეტრ გაზს, ამით ჩაჭრის უკრაინას,როგორც მთავარ სატრანზიტო ქვეყანას, ფაქტიურად, ამით რუსეთი შეეცდება უკრაინა გამორიცხოს,როგორც ნავთობის ტრანზიტული ქვეყანა, აქედან გამომდინარე, უკრაინა ფაქტიურად რჩება გაზის მიწოდების გარეშე და ამან შესაძლოა მას შეუქმნას საფრთხე ენერგოუსაფრთხოების მოწყვლადობის კუთხით. ზუსტად ეს პრობლემა რომ დაძლეულიყო, ამერიკამ უკრაინას აღნიშნული პრობლემის ამ გზით მოგვარება შესთავაზა. „უკრაინამ ამერიკული თხევადი გაზი შესაძლოა მომავალში ყატარიდან, ალჟირიდან და ნორვეგიიდან მიიღოს, ანუ იმ ქვეყნებიდან, საიდანაც მას არ გააჩნია პირდაპირი სახმელეთო ენერგომილსადენების წვდომის საშუალება და უკვე პოლონეთში არსებული მილსადენების მეშვეობით, მოხდეს მისი უკრაინაში ტრანსპორტირება, ამით ფაქტიურად, უკრაინის ენერგომომარაგების უსაფრთხოების პრობები იქნება უზრუნველყოფილი."-აცხადებს ექსპერტი. მისივე შეფასებით, რუსეთის მთავარი იდეა ის არის, რომ უკრაინას ბუნებრივი აირის მარაგები შეუმციროს, რათა მას საერთაშორისო ასპარეზზე სატრანზიტო სტატუსი გაუქროს".

***უკრაინის ბუნებრივი აირის მოხმარებაზე მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოსი, საქართველოში მისი მოხმარება შეადგენს 2.2 მლრდ კუბურ მეტრს, ხოლო უკრაინაში 6 მლრდ კუბურ მეტრს. რუსეთი ვერ შესძლებს, რომ უკრაინა ენერგომომარაგებისგან მთლიანად გამოთიშოს, მას უბრალოდ შეუმცირებს მომარაგებას. ეს ფაქტი უკრაინის გაზის საცავების მარაგს შეამცირებს, მას სამხრეთით ჩერნიგოვისა და პოლტავას მიდამოებში აქვს სპეციალური გაზსაცავები, რომელ საცავებსაც შეუძლიათ 10 მლრდ კუბური მეტრის გაზის შენახვა, უკრაინამ 2009-2013 წლებში ეს საცავი უკვე გამოიყენა, როდესაც რუსეთმა მას ენერგოომი გამოუცხადა. რუსეთის მთავარი იდეა და ამოცანაა, რომ უკრაინას ეს მარაგები შეუმციროს, მისი მძლავრი სატრანზიტო სტატუსი დააქვეითოს და შემდგომში, თანდათანობით საერთოდ ამოშალოს, ეს ამოცანა, რომ არ იქნას მიღწეული და უკრაინას ჰქონდეს გაზის საკმაო მარაგები, ზუსტად ამიტომ ამერიკელებმა მათ ასეთი წინადადება შესთავაზეს.***

რუსეთსაც გააჩნია თხევადი გაზის ტექნოლოგიები, იგი აპირებს, რომ არქტიკის რესურსებზეც განახორციელოს პირდაპირი წვდომა და გაზარდოს თავისი მწარმოებლურობის მასშტაბები, რომლითაც ცდილობს, რომ გახდეს სუპერ ენერგოგიგანტი სახელმწიფო.. "კრემლმა მიიღო საინტერესო დოკუმეტი, რომელსაც ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა, ეს დოკუმენტი რუსეთის ენერგოუსაფრთხოების დოქტრინაა, სადაც პირდაპირ წერია, რომ რუსეთი გამოიყენებს სამხედრო ძალას და მათ შორის შეიარაღებულ ძალებს, თავისი ენერგოუსაფრთხოების მისიების მისაღწევად."-ამბობს იგი. **მაისაია ამბობს, რომ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის პერპექტივისთვის ღრმანყლოვანი პორტია საჭირო, რათა თხევადი გაზის პლატფორმა იქნას დამონტაჟებული. „ჯერ-ჯერობით საქართველოს მიმართ ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ამ პროექტში საქართველო იქნებოდა ანაკლიის პორტის არსებობის შემთხვევაში, იმისათვის, რომ თხევადი გაზის პლატფორმა იქნას დამონტაჟებული რომელიმე საზღვაო პორტში, ამისთვის აუცილებელია ღრმა პორტის არსებობა - ზუსტად აქ არის "ძაღლის თავი დამარხული".**

როგორც ჩანს, ანაკლიის პორტზე მიდის თხევადი გაზის პლატფორმის რეალიზაციის ბრძოლა და რამოდენიმე ენერგოგიგანტი ქვეყნის ინტერესებია დაპირისპირებული, კონსორციუმში ამერიკული მხარე ამ მიზანსაც ითვალისწინებდა, როდესაც ანაკლიაში აპირებდნენ ღრმა პორტის აშენებას. ანალოგიური პროექტი უკრაინაშიც კეთდებოდა, ნიკოლაევის პორტზეა საუბარი,ზუსტად ამიტომაც რუსეთმა აზოვის ზღვაზე განახორციელა დესტრუქციული ქმედებები, მოახდინა აზოვის ზღვის ჩაკეტვა და პორტის დაბლოკვა. საქართველოს ორი ენერგომომწოდებელი ჰყავს - აზერბაიჯანი და რუსეთი, აქ ერთი ნიუანსია, რომ აზერბაიჯანი და რუსეთი შესაძლოა შეთანხმდნენ და მათ გარკვეულწილად მოახდინონ საქართველოზე ზეწოლა, რომელიმე მხარის სასარგებლოდ. ამიტომ, ყველაზე კარგი ვარიანტია, ჩვენ გვყავდეს დამოუკიდებელი ენერგომიმწოდებელი, ამერიკის, ალჟირის და ყატარის სახით, რომლებიც მოგვაწვდიან თხევად გაზს. **საქართველოს შეუძლია გახდეს ენერგეტიკული ჰაბი - ჰაბისთვის არის სამი პირდაპირი პირობა, პირველი არის ის, რომ უნდა იყოს ენერგეტიკული სატრანზიტო კომუნიკაციების მაღალი ბმა, როგორი ბმაც ჩვენს ტერიტორიაზე უკვე გადის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი/ბაქო-თბილისი-ერზრუმი) და თუ მოხდება თხევადი გაზის პატფორმის დამონტაჟება, ეს კიდევ უფრო მოახდენს ჩვენი ტრანზიტულობის გაზრდას.** მეორე აუცილებელი კომპონენტია - მძლავრი ნავთობტერმინალების, ან გაზის საცავების არსებობა, და მესამე პირობაა, პოლიტიკური სტაბილურობა, ეს სამი პირობა თუ გარანტირებულია, ქვეყანას შეუძლია გახდეს ენერგეტიკული ჰაბის სტატუსის მატარებელი, რომელიც ახალი ტერმინია. ასე რომ, ჩვენ ახლოს ვართ იმასთან, რომ ვიყოთ ენერგეტიკული ჰაბის სტატუსის მქონე სახელმწიფო, თუნდაც რეგიონალურ დონეზე. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული ჰაბის სამი დონე არსებობს ლოკალური,რეგიონალური და საერთაშორისო."- აცხადებს მაისაია.

# მასწავლებლის და მშობლის ურთიერთობა

***თანამედროვე განათლების აღზრდის სისტემა შეუძლებელია იყოს წარმატებული მშობლის თანამონაწილეობის გარეშე- ამბობს სპეციალისტი განათლების საკითხებში, „კოალიცია განათლება ყველასათვის- საქართველოს“ პოლიტიკის ანალიზის ოფიცერი, რეზო აფხაზავა და ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე გაუჭირდება სკოლას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა.***

წარმატებული სკოლის ერთ-ერთი მახასიათებელი ოჯახისა და საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაა. მოვიყვან ციტატას: ,,წარმატებულ სკოლებში სჯერათ, რომ მოსწავლეების განათლება არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ ოჯახისა და საზოგადოების წარმომადგენლების პასუხისმგებლობაცაა. შესაბამისად, მათ დიდი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებაში“. მცირე ასაკში მოსწავლეები განათლებას ღებულობენ ორი ძირითადი წყაროდან: მშობლისგან და მასწავლებლისგან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ორივე რგოლის ჩართვა და მნიშვნელოვანია გამართული კომუნიკაცია.

მოსწავლის განვითარებაში მასწავლებელი და მშობელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მათი თანამშრომლობა კიდევ უფრო ზრდის მოზარდის მიღწევებს.

მასწავლებელსა და მშობელს შორის კარგი ურთიერთობის შექმნა დიდწილად პედაგოგზეა დამოკიდებული. მას ევალება ამ კავშირის მართვა.მასწავლებელსა და მშობელს შორის მჭიდრო ურთიერთობის შექმნის რამდენიმე გზა არსებობს: 1. ისწავლეთ მათი სახელები — საკუთარი სახელი ყველასთვის მნიშვნელოვანია და კარგი ურთიერთობის დამყარების პირველ ეტაპზე აუცილებელია, იცოდეთ თქვენი მოსწავლის მშობლის სახელი.2. იყავით დაკვირვებული — სანამ გამოიყენებთ ფრაზას „თქვენი შვილი“ დარწმუნდით, რომ ის მართლაც შვილია. სანამ კარგად გაიცნობთ, ფრთხილად დაუსვით ღია კითხვები. გაითვალისწინეთ, რომ უამრავი ტიპის ოჯახი და მშობელი არსებობს — განქორწინებული, აყვანილი ბავშვით, დაუქორწინებელი, ქმრის შვილის აღმზრდელი...3. გააკეთეთ განცხადება — უთხარით, რომ თქვენ მათთან თანამშრომლობა გსურთ და ყოველთვის მზად ხართ მითითებების მისაღებად.4. ხშირი კომუნიკაცია — სასურველია, კვირაში ერთხელ გააცნოთ კლასის სიტუაცია. მშობლებს ყოველთვის აინტერესებთ, რა ხდება მათი შვილის კლასში, ასე რომ , ნუ დაადებთ ტაბუს ამ საკითხს. თამამად ისაუბრეთ პრობლემებზე და შეეცადეთ, მათთან ერთად იპოვოთ გადაჭრის გზები.5. აცნობეთ კარგი ახალი ამბავი — თუ ბავშვმა მაღალი ქულა დაიმსახურა, წინა ნიშანი გამოასწორა ან რომელიმე პედაგოგმა თქვენთან შეაქო, დაუყოვნებლივ აცნობეთ ეს მის მშობელს.6. დაუსვით კითხვები — რას აკეთებს სკოლის შემდეგ? რა აინტერესებს ყველაზე მეტად? როგორ ფიქრობთ, რა არის მისი საუკეთესო თვისება? — მსგავსი კითხვებით მშობელზე შთაბეჭდილებას აუცილებლად მოახდენთ.7. მოუსმინეთ მშობლებს — მართლა მოუსმინეთ. მათ ძალიან ბევრი იციან საკუთარი შვილების შესახებ და ეს თქვენ გჭირდებათ.8. გაუღიმეთ ბავშვს — თუ მშობელს ბავშვის თანდასწრებით ესაუბრებით, გაუღიმეთ მოსწავლეს და დაამყარეთ თვალებით კონტაქტი მასთან. 9. სთხოვეთ დახმარება — ზოგჯერ მშობლებს უნდათ იყვნენ აქტიური მშობლები, მაგრამ არ იციან, რა გააკეთონ. თუკი ასეთ ინტერესს შეამჩნევთ, შესთავაზეთ კლასის საქმეებში დახმარება. ყოველთვის მოიძებნება რაღაც, რაშიც ისინი თქვენს დახმარებას შეძლებენ. ეს შეიძლება იყოს, ღია გაკვეთილის მოწყობა ან რაიმე ტიპის არასტანდარტული გაკვეთილისთვის მზადება.10. იყავით მომთხოვნი — სთხოვეთ მშობლებს, დაეხმაროს საშინაო დავალების შესრულებაში ან ჩაიბაროს გაკვეთილები ან წაიკითხოს წიგნები მასთან ერთად.11. აუხსენით თქვენი გადაწყვეტილებების მნიშვნელობა — თუკი მშობელი განათლების სისტემას არ იცნობს,დაეხმარეთ გაერკვეს მასში. აუხსენით თქვენი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მიზანი და მიზეზი.12. გამოხატეთ მადლიერება — გადაუხადეთ საჯარო მადლობა, თუკი რაიმეში დაგეხმარათ ( კლასის საქმეებში,მის შვილთან ურთიერთობის გამოსწორებაში, ბავშვის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში...)

სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ასპექტი მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაა, რაც აუცილებელია წარმატებული პედაგოგისათვის. მოსწავლე გაცილებით მონდომებული იქნება სკოლაში, თუ მას ეცოდინება, რომ მის მასწავლებელს რეგულარულად აქვს კონტაქტი მშობლებთან, რომლებიც მას ენდობიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს შეუძლია, რომ მშობელი მასწავლებლის წინააღმდეგ განაწყოს. ბევრი პედაგოგი სათანადოდ ვერ აფასებს მშობლებთან ურთიერთობის მნიშვნელოვნებას. მშობლები, შეიძლება, თქვენი საუკეთესო მეგობრები, ან მტრები გახდნენ. წარმოგიდგენთ ხუთ რჩევას, რომელიც მშობლებთან მყარი და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ:

### მოიპოვეთ მათი ნდობა

მშობლების ნდობის მოპოვება ხშირად ხანგრძლივი პროცესია. პირველ რიგში, მშობლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი შვილისათვის მხოლოდ საუკეთესო გსურთ. ამისთვის პირველი ნაბიჯია, მისცეთ მათ საშუალება, უფრო ახლოს გაგიცნონ. ნუ შეგეშინდებათ მათთან საკუთარ სკოლის-გარე ინტერესებსა და ღირებულებებზე თავისუფლად და შინაურულად საუბრის. იქნებ, საერთო ინტერესებიც აღმოგაჩნდეთ. თუ მშობელი თქვენთან თავისუფლად საუბარს შეძლებს, თქვენი ურთიერთობა უფრო სასიამოვნო და მყარი გახდება. ნუ დაიშურებთ ძალისხმევას მოსწავლის დასახმარებლად. ეს ნდობისა და პატივისცემის სწრაფად მოპოვებაშიც დაგეხმარებათ. მშობელს მცირედი ყურადღებაც ახარებს. მაგალითად ზარი იმ მოსწავლის მოსაკითხად, რომელმაც ავადმყოფობის გამო რამდენიმე დღე გააცდინა.

### მოუსმინეთ მათ:

**მშობელს, შესაძლოა, კითხვები ან უკმაყოფილება გაუჩნდეს რაიმე საკითხთან დაკავშირებით. ნუ იქნებით თავდაცვით პოზიციაში. ეს მას აფიქრებინებს, რომ რაღაცას მალავთ. კარგად მოუსმინეთ მათ, ნუ შეგაშინებთ ნებისმიერი საკითხის განხილვა და გარკვევა, მაგრამ, ეს აუცილებლად მშვიდი და პროფესიონალური მანერით გააკეთეთ.**

### იძენეთ ხშირი კავშირი;

ეფექტური კომუნიკაცია დროს მოითხოვს, მაგრამ იგი გარდაუვალია. დღეს კომუნიკაციის მრავალი ფორმის გამოყენება შეგიძლიათ: აღნიშვნები რვეულში, წერილები, ტელეფონი, იმეილი, პირადი შეხვედრა სკოლაში ან მშობელთა კრება. კარგ პედაგოგს ხშირი კავშირი აქვს მშობლებთან.

**ბევრ მშობელს ბეზრდება მუდმივად უარყოფითის მოსმენა საკუთარ შვილზე. შეარჩიეთ 3-4 მოსწავლე ყოველ კვირაში და დაეკონტაქტეთ მათ მშობლებს რაიმე პოზიტიური ამბის გასაცნობად. ეცადეთ, ასეთ დროს, უარყოფითზე არ ისაუბროთ. თუნდაც, როდესაც ნეგატიური ამბის შეტყობინებას აპირებთ, ჯობს, საუბარი პოზიტიურ ნოტაზე დაასრულოთ.**

### აღრიცხეთ მშობლებთან ყოველი შეხვედრა

არ შეიძლება, არ გაითვალისწინოთ შეხვედრების აღრიცხვის მნიშვნელოვნება. სიღრმისეული ჩანაწერი სულაც არ არის აუცილებელი. მხოლოდ თარიღი, მშობლის/მოსწავლის სახელი და მოკლე მიმოხილვა. ეს, შეიძლება, არასოდეს დაგჭირდეთ, მაგრამ, შესაძლოა, ძალიანაც დაგეხმაროთ. მაგალითად, მშობელი შეიძლება გაანაწყენოს თქვენმა გადაწყვეტილებამ ბავშვის კლასში დატოვების, ან დაბალი საბოლოო შეფასების შესახებ. მშობელმა, შეიძლება, ამტკიცოს, რომ მასთან ამ პრობლემაზე არასოდეს გისაუბრიათ. მაგრამ, თუ თქვენ ჩანიშნული გექნებათ, რომ წლის განმავლობაში მას ამ საკითხზე 4-ჯერ ესაუბრეთ, მათ შეწიანააღმდეგების საფუძველი აღარ ექნებათ.

### მოაჩვენეთ თავი, როცა საჭიროა;

ფაქტია, რომ ყოველთვის ყველა ბავშვის მშობელი ვერ მოგეწონებათ. შეიძლება, მასთან პიროვნული კონფლიქტი აღმოგაჩნდეთ, ან, უბრალოდ არ გქონდეთ მსგავსი ინტერესები. თუმცა, თქვენ თქვენი სამუშაო უნდა შეასრულოთ და არ შეიძლება, მშობელთან კონტაქტი ამ მიზეზების გამო თავიდან აიცილოთ. ეს ბავშვს კარგს არაფერს მოუტანს. ზოგჯერ, მოგიწევთ გაღიმება თქვენი სურვილის წინააღმდეგ და ამას უნდა შეეგუოთ. სიყალბე ნამდვილად არ არის მოსაწონი, თუმცა, მშობელთან პოზიტიური ურთიერთობა მოსწავლისათვის სარგებლის მომტანი იქნება.

ჩვენს რეალობაში კი სკოლასთან მშობლის ურთიერთობას, ძირითადად, ნეგატიური კონტექსტი აქვს. სკოლიდან მასწავლებლის ზარი მშობლისთვის მეტწილად ნიშნავს, რომ მოსწავლემ რაღაც დააშავა ან ცუდი შეფასება მიიღო.ამიტომ მშობელთა უმრავლესობას არ სურს სკოლასთან კონტაქტი. ეს მიდგომა შესაცვლელია.

**-რა უნდა გააკეთოს სკოლამ იმისთვის, რომ მშობელი უფრო მეტად აქტიური გახდეს და რა უნდა გააკეთოს თავად მშობელმა საკუთარი როლის გაძლიერებისთვის?**

როგორც გაირკვა, საქართველოში ბევრ სკოლას აქვს მიზანი და სურვილი გაზარდოს მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა არ გააჩნია კონკრეტული სტრატეგია თუ როგორ და რა ნაბიჯებით შეუძლია მიაღწიოს მიზანს. ყველაზე მეტად, სასკოლო ცხოვრებაში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები არიან ჩართულები.

მშობელთა ჩართულობის კუთხით განათლების სამინისტრომ აქტივობები ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო, თუმცა რა შედეგი აჩვენა ჩართულობის გაუმჯობესების კუთხით ამ აქტივობებმა, ეს ინფორმაცია არ გასაჯაროებულა.

**-რა დოზით არის მშობლის როლი ინტეგრირებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში?**

ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი რედაქციის მიხედვით, “დამრიგებლებისათვის სავალდებულო ხდება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია; იწყება პროგრამები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, რაც გულისხმობს მშობელსა და სკოლას შორის რეგულარულ, ორმხრივ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. მშოგელი სკოლის სრულუფლებიანი პარტნიორი ხდება; ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშოგლების საგანმანათლებლო პროგრამები ამოქმედდა, მოხდა მშოგელთა გადამზადება და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა; ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება მშობელთა განათლების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს მშობელთა ინფორმირებას ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორიცაა: ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა, სახლში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, შვილთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება და სხვ” — რამდენად გატარდება ზემოაღნიშნული საკითხები სკოლის რეალურ ცხოვრებაში ამას დრო გვიჩვენებს.

**შვილის განვითარების რომელ ეტაპზე როგორი უნდა იყოს მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში?** ფსიქოლოგ თეა გოგოტიშვილთან საუბრისას გაირკვა,რომ მშობლის დამოკიდებულება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით პერიოდულად უნდა იცვლებოდეს. ***,,აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულია ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ზოგადად, მშობელი არ უნდა იყოს შვილის აკადემიური მოსწრების მაკონტროლებელი. ის უფრო მეტად უნდა იყოს ინტერესის მქონე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მშობლის მიერ ინდეფერენტული დამოკიდებულება ძალიან ცუდად მოქმედებს შვილის მოსწრებაზე. სამწუხაროდ, მშობლებს ხშირად ჩართულობა მხოლოდ კონტროლი ჰგონიათ. კონტროლი კი მხოლოდ დაწყებით კლასშია საჭირო, თუ კონტროლი მაღალ კლასებშიც გადადის, ეს სერიოზულ ბზარს აჩენს და იწვევს მოსწავლის აგრესიას. ამიტომ 11-12 წლის ასაკში მეტი ხვედრითი წილი და პასუხისმგებლობა მოსწავლეზე უნდა გადავიდეს ხოლო დამამთავრებელ კლასში მშობელი მხოლოდ დაინტერესებას უნდა გამოხატავდეს. ეს არის მშობლის ჩართულობის ყველაზე ოპტიმალური ფორმა,”-** განაცხადა ფსიქოლოგმა.

რაც შეეხება ერთგვარ გამოსავალს მშობლების გააქტიურების თვალსაზრისით, ექსპერტები თვლიან, რომ აუცილებელია გამოიკვეთოს და შეიქმნას ლიდერი მშობლების ჯგუფები, კლუბები ან თუნდაც ასოციაციები, რომლებიც ნაკლებ აქტიური მშობლების გაძლიერებაზეც იზრუნებენ და სკოლის მმართველობის პროცესშიც აქტიურად ჩაერთვებიან.ნებისმიერ თანამშრომლობას აქვს თავისი პირობები და ორივე მხარისათვის სავალდებულო “თამაშის წესები”, რომელთა დაცვის გარეშე თანამშრომლობა ვერ შედგება. მასწავლებლისა და მოსწავლის მშობლის თანამშრომლობის ასეთ არსებით და აუცილებელ პირობას ეთიკური ნორმების დაცვა, ურთიერთნდობა და კეთილგანწყობა წარმოადგენს.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# რა ღირს სკოლაში წასვლა?

ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, მშობლებო გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გისურვებთ თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს ნაყოფიერი და წარმატებებით გამორჩეული სასწავლო წელი. განსაკუთრებით ვულოცავთ ამ დღეს პირველკლასელებს, იმ პატარა მოსწავლეებს, რომლებსაც ყოველთვის ემახსოვრებათ ეს დღე, ეს ლამაზი და საზეიმო გარემო. მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები სწავლის დაწყებას ელოდებიან. ტრადიცია უცვლელია — ყველას, დიდს თუ პატარას სურს, რომ ახალ სასწავლო წელი ახალი სამოსით, ჩანთით, სახელმძღვანელოებითა და საჭირო ნივთებით დაიწყოს. არჩევანი, გასული წლების მსგავსად, წელსაც დიდია, ფასები კი განსხვავებული. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს შვილი კერძო სკოლაში მიჰყავს, მაშინ, ამ ყველაფერთან ერთად, თანხა სასკოლო წიგნების შესაძენადაც უნდა გადადოს. საჯარო სკოლის მოსწავლეებს კი წიგნები სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაეცემათ. განსაკუთრებით, დიდი მოლოდინი I–VI კლასების მოსწავლეებს აქვთ. მათ წელს ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები უნდა დახვდეთ მერხებზე.

რა ღირს სკოლაში წასვლა? ამის დასადგენად სხვადასხვა სავაჭრო ცენტრისა და ბაზრობების ფასებს გთავაზობთ.

ჩანთა

სკოლის მთავარი ატრიბუტი არის ჩანთა. სასკოლო ჩანთების ფასი გარეუბანში მდებარე მსხვილ სავაჭრო ცენტრებში ხარისხის, ზომისა და ფუნქციების მიხედვით 19 ლარიდან — 180 ლარამდე მერყეობს. მაღაზიების ნაწილში თუ გაგიმართლათ ფასდაკლებებსაც შეხვდებით. ბაზრობებზე ეს ფასი რიგ შემთხვევაში განსხვავდება, თუმცა საერთო ტენდენცია ასეთია — დღეს დაბალი რანგის ბრენდული ჩანთებისა და ბაზრობებზე გასაყიდი ზურგჩანთების ფასი მნიშვნელოვნად აღარ განსხვავდება ერთმანეთისგან.მათ ნაწილს ორთოპედიული საზურგე აქვს და ფასსაც ეს ზრდის, ნაწილი კი გორგოლაჭებითაა აღჭურვილი. ჩანთების ფასს ასევე განაპირობებს ფუნქციური უჯრების ოდენობა და ქსოვილი, რომელიც წვიმას უძლებს და ამასთან მსუბუქია, მოსწავლისთვის დამატებითი ტვირთი რომ არ იყოს. ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ ჩანთის ყიდვისას ბავშვების აზრი, განსაკუთრებით თუ ის პირველად მიდის სკოლაში, გავითვალისწინოთ. ამით მათთვის სკოლაში წასვლას უფრო სახალისოს გავხდით. ასევე, გაყიდვაშია დაბალი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ზღაპრისა თუ მულტფილმის გმირებიანი ზედაპირის მქონე ჩანთები, რომელიც მეტი მომხიბვლელობისთვის, გორგოლაჭებითაცაა აღჭურვილი.ეს კი რჩევა მშობლებისთვის — ყურადღება უნდა მიაქციოთ ჩანთის მწარმოებელ ქვეყანასაც, რათა ქსოვილი, რომლითაც ჩანთაა დამზადებული ბავშვისთვის ქიმიურად მავნე ნივთიერებებს არ შეიცავდეს და არც ტანსაცმელზე გადადიოდეს ფერი.

ტანსაცმელი

თეთრი პერანგები და შარვლები 15-70 ლარამდე ღირს. გოგონებისთვის ქვედა ბოლო 30-60 ლარამდე. წელს ბაზრობებზე დიდი არჩევანია გოგონებისთვის ე.წ. შავ და სხვადასხვა სახეობის კუბოკრულ კაბა-კომბინიზონებზე, რომელზეც მოთხოვნაც ასევე დიდია და ის 39-70 ლარი ღირს. ასევე, წელს ძალიან მოდურია გოგონებისთვის კუბოკრული შარვალი და ჟილეტი, რომელზეც ასევე, ძალიან დიდი მოთხოვნაა. მისი ფასი კი საშუალო დონის ქსელურ მაღაზიაში 69 -89 ლარია. წელს ასევე მოდურია კუბოკრული ქვედა ბოლო გოგონებისთვის და გეტრები. მისი შეძენა ბაზრობებსა და მაღაზიებში 25-70 ლარის ფარგლებში შეგიძლიათ. ბავშვის ფეხსაცმელი 40-დან 150-ლარამდე დაგიჯდებათ. ძვირადღირებული ფეხსაცმლის ფასს ორთოპედიული ძირი, ტყავის ფაქტურა და ხარისხი განაპირობებს. თუმცა, წელს ფართო არჩევანია სპორტული სტილის ფეხსაცმელზე. მასზე თანაბარია მოთხოვნა, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში.

საკანცელარიო ნივთები

რაც შეეხება სასკოლო საკანცელარიო ნივთებს, ბაზრობებსა და სხვადასხვა საკანცელარიო მაღაზიებში ფასები განსხვავებულია. ზოგან რამდენიმე შენაძენზე ფასდაკლებაც მოქმედებს. ასევე, საგანგებოდაა გახსნილი მსხვილ ქსელურ სავაჭრო ცენტრებში სპეციალური სასკოლო სივრცეები, სადაც როგორც მოსწავლეების, ასევე მათი მშობლების დიდ ნაწილს ნახავთ. ისინი წინასწარ არჩევენ და იმარაგებენ სკოლისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთებს.

რვეულების ფასი ფურცლების რაოდენობის მიხედვით, ფასდაკლებით 52 თეთრიდან 2,2 ლარამდე მერყეობს. კალმები 50 თეთრიდან 1.5—ლარამდე. საშუალო დონის ფერადი ფანქრები 2,50 ლარიდან — 14 ლარამდე ღირს. გუაშების, სახატავი რვეულების, ფლომასტერების, საშლელებისა და სათლელების ფასებიც განსხვავებული და მერყეევა. ამ ყველაფრის შესანახად კი პენალი დაგჭირდებათ, მისი ფასი 4,95 ლარიდან იწყება და ხარისხის მიხედვით 20 ლარსაც აჭარბებს. თუმცა ზოგიერთ ძვირადღირებულ მაღაზიაში ფასმა შესაძლოა 50-60 ლარსაც მიაღწიოს. ასევე არსებობს სპეციალური შეთავაზება მშობლებისთვის, რომლის ფარგლებშიც 79 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ პენალი და სკოლისთვის საჭირო ფანქრები და პასტები ერთ კომპლექტად.

ეროვნული ვალუტის კრიზის გამო, ფასების მომატებაზე წუხან მშობლები, თუმცა, ამის მიუხედავად ბაზრობებზე, დიდ თუ პატარა სავაჭრო ცენტრებში ,მშობლებისა და სკოლის მოსწავლეების რაოდენობა მაინც შესამჩნევია. მაღაზიები კი მათთვის ფინანსური ტვირთის შესამსუბუქებლად რიგ ნივთებზე ფასდაკლებებსაც სთავაზობენ მომხარებელს.

**უხეში დათვლით, სასკოლოდ ბავშვის მომზადება, თუ ყველა საჭირო ნივთისა და სამოსს ბაზრობაზე შეიძენთ, მინიმუმ 250–300 ლარამდე ჯდება. მაგრამ თუ მოთხოვნა ბრენდულ სამოსსა და სასკოლო აქსესუარებზე გაძვთ, ამ შემთხვევაში შვილის სასკოლოდ მომზადების ხარჯები 500 ლარსაც გასცდება.**

არჩევანისა და შესაძლებლობის თავისუფლება საფულის სისქესა და საკრედიტო ბარათის ტიპზე გადის, რადგან ბაზრობებსა თუ სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებში ამგვარი საქონელის არჩევანი მრავალფეროვანი, მრავალფერიანი და მრავალფასიანია.

**რომელ ქვეყნებში ატარებენ სკოლის მოსწავლეები კლასებში ყველზე ნაკლებ დროს? სად იხდიან მშობლები სასკოლო ნივთებში ყველაზე მეტს და რომელ ქვეყანაშია საჭირო განათლების მისაღებად სწავლაზე საშუალოდ 23 წლის დახარჯვა?**

ცოდნისკენ მიმავალ გრძელ გზას, ათასგვარი ხარჯიც ართულებს. ბავშვების განათლებისათვის საჭირო თანხა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება. ასევე განსხვავებულია საათების რაოდენობა, რომელსაც სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები კლასებსა და აუდიტორიებში ატარებენ. ამ სხვაობის უფრო თვალნათლივ დასანახად რამდენიმე ფაქტსა და მაჩვენებელს გთავაზობთ.

ამერიკელ მშობლებს ყველაზე ძვირი კომპიუტერი და სკოლის მოსწავლის ტანსაცმელი უჯდებათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვის სკოლისთვის მომზადებისთვის ოჯახი საშუალოდ 685 დოლარს ხარჯავს. 2005 წლიდან მოყოლებული თანხა დაახლოებით 250 დოლარით გაიზარდა. ყველაზე მეტი კომპიუტერებზე, საშუალოდ 299 დოლარი, იხარჯება. მეორე ადგილზეა ტანსაცმელი — 268 დოლარი, შემდეგ მოდის სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობები — პლანშეტები, კალკულატორი და სხვა, რომლებზეც 271 დოლარი იხარჯება. სახელმძღვანელოებსა და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთზე მოსწავლის ოჯახი 112 დოლარს ხარჯავს. ყველა ეს თანხა წლიდან წლამდე იზრდება.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით დანიაში სასწავლო წელი ორი თვით გრძელია

ამ ქვეყანაში სკოლის მოსწავლემ კლასში ყოველწლიურად დაახლოებით 1000 საათი უნდა გაატაროს. ასეთ გრძელ სასწავლო წელს თავისი გამართლებაც აქვს: დანია განათლების საუკეთესო ხარისხის ხუთი წამყვანი ქვეყნის სიაში სისტემატურად შედის.

თუ ეძებთ ქვეყანას, სადაც განათლება შედარებით იაფია, ჰონგ-კონგი დაიწყეთ

მშობლების მიერ შვილის განათლებისათვის გადახდილი თანხა ქვეყნის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება. ამ მაჩვენებლის სხვაობა 100 000 დოლარამდეც კი შეიძლება ავიდეს. განათლების მიღება ყველაზე ძვირი ჰონგ-კონგში ჯდება. აქ სწავლისთვის საშულოდ 131 161 აშშ დოლარის გადახდა არის საჭირო (სტიპენდიის, სესხისა და სახელმწიფო მხარადჭერის გათვალისწინების გარეშე).

ამ სიაში მეორე ადგილი არაბთა გაერთიანებული ემირატებს უჭირავს აქ სწავლა საშუალოდ 99 000 დოლარი ჯდება. რაც შეეხება სინგაპურსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ განათლების მისაღებად 71 000 და 58 000 დოლარის გადახდა არის საჭირო. ჩამოთვლილი ქვეყნებისგან საფრანგეთი მკვეთრად განსხვავდება. აქ მშობლები შვილის სრული განათლებისთვის (სკოლისა და უნივერსიტეტის ჩათვლით) საშუალოდ 16 000 დოლარს იხდიან.

ავსტარლიელები სწავლაზე დაახლოებით ცხოვრების მეოთხედ ნაწილს ხარჯავენ.

ადრე თუ გვიან სწავლა მთავრდება. სკოლის დაწყებისთანავე ყველა პირველკლასელს ეს აუცილებლად უთხარით. თუმცა ისეთ ქვეყნებში როგორიაა ახალი ზელანდი და ისლანდია ეს პროცესი თითქმის ორი ათწლეული გრძელდება. ,,სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა“ ჩარიცხვების საშუალო მაჩვენებლიდან ითვლება. ამჟამად ეს ხანგრძლივობა ავსტრალიაში სწავლის 22,9 წელიწადს აღწევს, ანუ იქ ადამიანი 6-დან 28 წლამდე სწავლობს. ამ სიის ბოლო ადგილი ნიგერიას უჭირავს, სადაც ბავშვები სწავლას 7 წლის ასაკიდან იწყებენ და დაახლოებით 5,3 წელში ასრულებენ, 17 წლით ადრე ვიდრე ავსტრალიაში.

**განათლების საფასურს არა მხოლოდ მშობლები იხდიან. გავიხსენოთ ჩვენი გარემო და ტყეებიც . . .**

ვირტუალური რეალობის საუკუნეში, როდესაც ადამიანები 3D პრინტერებსა და დრონებს იყენებენ, მოსწავლისთვის ჩვეულებრივი ფანქარი განუყოფელ ინსტრუმენტად რჩება. დღეს, მისი გამოგონებიდან 400 წლის შემდეგ, მსოფლიოში ყოველწლიურად 15-დან 20 მილიარდამდე ფანქარს ამზადებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ საკანცელარიო ნივთს კედარის ხისგან აწარმოებენ, რომელიც წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე იზრდება. რაც შეეხება გრაფიტს, მას ჩინეთსა და შრი ლანკაზე მოიპოვებენ. იმისათვს, რომ მოსწავლეებმა მთელი წლის მანძლზე ფანქრების დეფიციტი არ იგრძნონ, ყოველწლიურად 60 000-დან 80 000-მდე ხე იჭრება.

***საქართველოს მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ხოლო ბავშვის სასკოლო ნივთებითა თუ ტანსაცმლით უზრუნველყოფას რამდენიმე ასეული ლარი სიჭრდება, ცხადი გახდება, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სასწავლო წლის დაწყება დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. უარეს პირობებში არიან მშობლები, რომლებსაც ორი ან სამი ბავშვი დაჰყავთ სკოლაში, თუმცა უკეთეს დღეში არც ის კატეგორიაა, ვისაც სტუდენტები ჰყავთ. წლებია, სასწავლო წლის დაწყებას მსგავსი პრობლემები ახლავს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ წლიდან წლამდე პრობლემებმა და გაჭირვებული ადამიანების რიცხვმა იკლოს, პირიქით, მატულობს. ყოფით პირობებთან გამკლავება დღითი დღე ძნელდება.***

**მოამზადა**
ხათუნა გენაშვილმა

# ჯილდოდ – რომაული არდადეგები

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ერთგულ მკითხველს არაერთხელ წაუკითხავს სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ შესახებ, რომელიც მეათე წელია, წარმატებულად ფუნქციონირებს დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ცოდნის და უნარ-ჩვევების ასამაღლებლად. რედაქცია ყოველთვის მზადაა ჩვენი თანამოქალაქეების მიღწევები არასოდეს დატოვოს ყურადღების მიღმა. ქალბატონი ნუნუ ცაკაშვილი მეათე წელია, ამ სასწავლო ცენტრს უდგას სათავეში და მასზე წერაც არ მოგვწყინდება, რადგან მისთვის ცხოვრების მთავარ მიღწევებს არა რომელიმე მდგომარეობა ან სოციალური სტატუსები წარმოადგენს, არამედ განათლებაზე მიმართული ორიენტირი და მასში ჩადებული უდიდესი შრომა. ის წარმატებული შვილების დედაა, ამასთან მუდამ ამაყობს თავისი აბიტურიენტებით, რომელთა განათლებაშიც არანაკლებ ენერგიას დებს. ტრადიციულად, “სპექტრის“ აბიტურიენტებმა წელსაც ყველა მოლოდინს გადააჭარბეს და თუ ქვეყნის მასშტაბით 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 71% გახდა სტუდენტი, სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აბიტურიენტთა 100% სტუდენტია, ამასთან, თითოეული მათგანი პირველივე განაცხადით ჩაირიცხა.

ჩვენი დღევანდელი სტუმრობის მიზეზი ის მოგზაურობაა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ქალბატონმა ნუნუმ მისივე ცენტრის გერმანული ენის მასწავლებელ ნელი ხარაზიშვილთან ერთად მიიღო საჩუქრად კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტ ბატონ ზაზა შენგელიასგან.

**-ქალბატონო ნუნუ, დავიწყოთ თქვენი პირველი მოგზაურობიდან...**

-მეცხრე კლასში ყოფნისას მე და ჩემი ტყუპისცალი მეგი მხარეთმცოდნეთა კონკურსში გამარჯვებისთვის თორმეტდღიანი ექსკურსიით დაგვაჯილდოვეს. დღემდე მოგვყვება უკრაინაში (კიევი, ოდესა, ხერსონი, სევასტოპოლი) გატარებული ლამაზი დღეების მოგონება. უკან დაბრუნებისას სოჭი, გაგრა, ახალი ათონი, სოხუმი დავათვალიერეთ.

**-რას გრძნობ, როდესაც ასეთ საჩუქარს იღებ?**

-სამჯერ სტუდენტობისას დამაჯილდოვეს 5-6 დღიანი ექსკურსიებით, ხოლო მეხუთე მოგზაურობა უფრო სერიოზული და განსაკუთრებული იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობისას საზაფხულო სკოლა-ბანაკ „მცირე აკადემიის“მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმატებული ხელმძღვანელობისათვის უნგრეთის სამკვირიანი საგზურით დამაჯილდოვეს. (სსრკ დაშლილი არ იყო და საზღვრის გადაკვეთა ძალიან დიდ სირთულეებთან იყო კავშირში).

**-სულ რამდენ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?**

-ჯერჯერობით თოთხმეტში, აგვისტოში ვიმოგზაურე იტალიაში, ვატიკანსა და სან-მარინოში...

**-ამ მოგზაურებაზე, რომელიც უკვე მეექვსე ჯილდო იყო თქვენთვის, რას გვიამბობთ?**

-უპირველესად, კიდევ ერთხელ და მრავალგზის მადლობა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ბატონ კახა შენგელიას ჩემი ასეთი დაფასებისა და უდიდესი სიურპრიზისთვის. იგი ორჯერ გვსტუმრობდა „სპექტრში“, შეხვდა ჩვენს უფროსკლასელ მოსწავლე-ახალგაზრდობას და აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროელი აბიტურიენტები წარმატებით ირიცხებიან მათთან, გამოირჩევიან წესიერებით და მონდომებული სწავლით. ბატონმა კახამ გადმომცა მადლობის სიგელი აბიტურიენტთა განსაკუთრებული კონტიგენტისთვის, რამდენიმე დღის შემდეგ კი დამირეკა და მითხრა: ორადგილიანი საგზურით დამაჯილდოვებ იტალიაში სამოგზაუროდო. ეს იყო განსაკუთრებულად მოულოდნელი საჩუქარი ჩემი დაბადების დღისთვის. ამ მოგზაურობამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...რომი, ვატიკანი, სან-მარინო, ნეაპოლი, პიზა, ფლორენცია, ბოლონია, ვენეცია, მონტეკატინი ტერმე და რიმინი - თითოეული მათგანი საოცარი, შთამბეჭდავი, განუმეორებელი, აღმაფრთოვანებელი და მოვლილი. პირველ დღეს პომპეი რომ ვნახე, მარტო ამად ღირდა წამოსვლა, მეგონა, მაგრამ ყოველ მომდევნო დღეს წინ ახალ-ახალი საოცრებები გველოდა და დადებითი ემოციების ტყვეობაში მოვექეცით თანდათან. ნეაპოლის გზაზე ვუყურებდით ვეზუვის, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მთას და ერთდროულად მახსენდებოდა ყველაფერი, რაც კი ოდესმე ამ ვულკანზე მსმენია და წამიკითხავს.

წარმოუდგენლად ლამაზი და ძვირფასია რომი და ვატიკანი, ირგვლივ ყველაფერი იმდენად საინტერესო და დიდებულია, შეუძლებელია, ეს უბრალოდ სიტყვებით გადმოვცე, ამიტომაც სტუმრობს განუსაზღვრელად ბევრი ტურისტი. ფლორენცია და მისი უფიცის გალერეა, ქალაქი-სახელმქიფო სან-მარინო და მისი არაჩვეულებრივი ხედები...რომელი ერთი ჩამოვთვალო... იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება, რომ ჩამოსვლის შემდეგ კიდევ ორი კვირა ვკითხულობდი შესაბამის ლიტერატურას და ვაანალიზებდი თვალით ნანახს და ყურით გაგონილს...ამასწინათ საღაც ამოვიკითხე, ადამიანს რელაქსაციისთვის შოპინგი და მოგზაურობა ესაჭიროებაო, პირველი დღის ბოლოს ავიწყდება, მეორე კი ცხოვრებისეულ კვალს ტოვებსო, ნამდვილად ასეა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვენეცია - ესაა ქალაქი საოცრება, რაც უნდა ბევრი წაიკითხო მასზე, ფოტო და ვიდეო მასალა ნახო, მაინც ვერ აღწერ იმ განუმეორებელ ხიბლს და მრავალფეროვნებას, რასაც აქ შეხვდები. ვენეცია ქალაქია, რომელიც ოდესმე აუცილებლად საკუთარი თვალით უნდა ნახო და შეიგრძნო. ამ სიამოვნებას დაემატა ისიც, რომ ვენეციაში ლონდონიდან ჩამოფრინდა ჩემი შვილი ილიკო და ბოლო სამი დღე ჩვენთან ერთად იმოგზაურა. ეს კიდევ ერთი სიურპრიზი იყო.

**-„ყველა გზა რომში მიდის“, ასეა?**

- ამაში დავრწმუნდი, ოღონდ არა მხოლოდ რომში, ყველა გზა იტალიაში მიდის. აუტანელი სიცხის მიუხედავად, განუსაზღვრელად ბევრი ტურისტი და დამსვენებელი სტუმრობს ამ ქვეყანას, თითქმის ყველგან 5-6 საათიანი რიგებია მუზეუმებში შესასვლელად (კიდევ კარგი, ჩვენს ჯგუფს რიგი არ გვეხებოდა, ყველა სანახაობის ბილეთი წინასწარ იყო დაჯავშნილი ტურისტული სააგენტოს მიერ).

რომი, ვატიკანი, ფლორენცია, ვენეცია, პიზა - ამ ქალაქების ყოველ პატარა მონაკვეთში ჯგუფ-ჯგუფად დგანან ტურისტული ჯგუფები, მის თითოეულ წევრს ყურსასმენი უკეთია და თვალყურს ადევნებს გიდს, რომელიც მთელი გატაცებით, ხელში ქოლგით აქტიურად ყვება კონკრეტული ღირშესანიშნაოების შესახებ და თან უხარია, რომ მის ამ ემოციურ მონათხრობს ბევრი გულისხმიერი მსმენელი ჰყავს. იმდენად სწრაფად ხდება გადაადგილება, რომ ტურისტი ფიქრობს, არაფერი გამომრჩეს სანახავიო, თუმცა, ამაოდ.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე საოცარი ქანდაკებები, შადრევნები, მუზეუმებია, უნიკალურია თითოეული მათგანი.

რესტორნები, კაფეები, სასტუმროები.. ყველგან ტურისტები, ტურისტები, ზღვა ხალხი... მაგალითად, ქალაქ რიმინში (რომლის არსებობა არც ვიცოდი) სამი ათასი ოთხსართულიანი სასტუმროა, ყველა გადატვირთული იყო, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ნემსი არ ჩავარდებოდა. საოცარი სისუფთავე და წესრიგი იყო წყალშიც და ნაპირზეც. უმშვენიერესი, გამწვანებული, მოვლილი, წყნარი ქალაქი მონტეკატინი ტერმე - უამრავი ხანდაზმული დამსვენებელი სტუმრობს და მკურნალობს აქ.

**-იყო ისეთი რამ, რაც არ მოგეწონათ?**

-შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ იყო. კონკრეტულად ის, რომ თითქმის ყველა ექსკურსიამძღოლი (ასეთი კი მინიმუმ 12 იყო) მსვლელობისას ყურსასმენში მიგვანიშნებდა, რომ გავფრთხილებოდით ხელჩანთებს, საბუთებს, (გახშირებული ქურდობის გამო). ამასთან, არ ველოდი და არ მომეწონა მიუსაფართა არსებობა რომის ქუჩებში, ვატიკანის გარშემოც კი. ამ ფაქტს იმიტომ უფრო ვაფიქსირებ, რომ ქვეყანაში, სადაც ტურიზმი ასეთ დონეზეა განვითარებული, ქვეყნის ღირსების საქმეა, არ ცხოვრობდეს ხალხი ქუჩაში და ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სტუმრის უსაფრთხოება. ამას უფრო საქართველოში ტურიზმის განვითარების გასათვალისწინებლადაც ვამბობ, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ქვეყნის იმიჯს. ჩვენს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს თავშესაფარი, საკვები და არ უნდა იდგეს (ან იჯდეს) ხელგაწვდილი მოწყალების მისაღებად. მით უფრო, არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი სტუმარი ვინმემ დააყაჩაღოს.

**- იქაურ განათლების სისტემაზე ხომ არაფერს გვეტყვით?**

- იტალიური საშუალო განათლების სწავლება 13 წელს გრძელდება და საფეხურებად არის დაყოფილი. სწავლობენ 5-6 წლიდან 18-19 წლამდე. სწავლების პირველი საფეხური სავალდებულო და უფასოა. მეორე საფეხურის საშუალო სკოლაში სწავლას იწყებენ 14 წლიდან. იგი იყოფა ორ ნაწილად: 1) ლიცეუმი 2) პროფესიული განათლება-მომზადება.

ლიცეუმის დამთავრებისას მოსწავლეები აბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს და იღებენ სიმწიფის ატესტატს. (იქ ატესტატი საჩუქარი არ არის). ატესტატის მქონე აბიტურიენტს ნებისმიერ ევროპულ უნივერსიტეტში ჩაბარება გამოცდების გარეშე შეუძლია.

რაც შეეხება კერძო იტალიურ სკოლა-პანსიონს, აქ მოსწავლეთა დაახლოებით 5% სწავლობს და სწავლის ღირებულება წელიწადში საშუალოდ 30 000 ევროა.

**-მაგრამ, მაინც რა იგრძენით, როდესაც უკან დაბრუნებულებმა გადაუფრინეთ მზიან აპენინებს და ილუმინატორიდან ცივი და მიუდგომელი კავკასიონი გამოჩნდა, როგორც გუშაგი, რომელსაც უმდიდრესი საგანძური აქვს მიბარებული — ჩვენი სამშობლო, მხარე, რომელზე ლამაზიც ამქვეყნად არ არსებობს, ადგილი, სადაც შენი მიწის სურნელს გრძნობ და გიზიდავს ანდამატივით, ადგილი, რომელიც მუდამ შენს მოლოდინშია და რომელიც ერთადერთია სამყაროში...**

-რა თქმა უნდა, ამ დროს კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ საქართველოს ვერაფერი შეედრება და ვერაფერი გადაწონის!

**-დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის...**

**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

# სუს-ის წარმომადგენელი – ერგნეთში განხილვის საგანი ჩორჩანას ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები იყო – პოზიციები განსხვავებულია, შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა დასრულდა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, ირაკლი ანთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, კიდევ ერთი ტექნიკური შეხვედრა 13 სექტემბერს გაიმართება.

როგორც ანთაძემ განაცხადა, საგუშაგოებთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეული არ არის.

„განხილვის საგანი მხოლოდ ერთი საკითხი იყო, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას ტერიტორიაზე ბოლო დღეების მანძილზე განვითარებული მოვლენები და ასევე ის უკანონო ქმედებები, რომელიც ხორციელდება გუშინდელი დღიდან. ჩვენ კიდევ ერთხელ წარვადგინეთ ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია და განვუმარტეთ შეხვედრის მონაწილეებს, რომ სტანდარტული პოლიციის საგუშაგო მოწოდებულია მხოლოდ იმისთვის, რომ ადგილზე სტაბილურობა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების გარემოს გაჯანსაღებას. ასევე ხაზი გავუსვით იმას, რომ ნებისმიერი ქმედება, რაც უკანონოდ წარიმართება აღნიშნულ ტერიტორიაზე, ეს არის უსაფრთხოების გარემოსთვის დამაზიანებელი. კიდევ ერთხელ პრინციპულად მოვითხოვეთ, რომ ამგვარი ქმედებისგან ყველამ შეიკავოს თავი და ამგვარი ქმედებები აღიკვეთოს. პოზიციები კვლავ დიამეტრალურად განსხვავებულია. შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. შევთანხმდით, რომ აუცილებელია დიალოგის გაგრძელება სიტუაციის ნორმალიზაციისთვის. ამის მიზნით გადავწყვიტეთ, რომ პარასკევს კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართოს“, - განაცხადა ანთაძემ.

# აწუნთის უღელტეხილზე გადასულმა ელიზაბეთ რუდმა ილია ჭავჭავაძის სიტყვები გაიხსენა

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი აწუნთის უღელტეხილით თუშეთიდან ხევსურეთში გადავიდა. ელიზაბეთ რუდმა ილია ჭავჭავაძის სიტყვები გაიხსენა და თქვა, რომ მიზნის მისაღწევად - იქნება ეს უღელტეხილზე გადასვლა, თუ დემოკრატიის შენარჩუნება, ყოველთვის წინ უნდა მივისწრაფოდეთ.

„ჩვენ ყოველთვის უნდა მივისწრაფოდეთ წინ, რათა მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს, იქნება ეს აწუნთის უღელტეხილით შატილში გადასვლა თუ ჩვენი დემოკრატიების სიმტკიცისა და ენერგიულობის შენარჩუნება. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“, — განაცხადა ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა.

ელიზაბეთ რუდის ეს განცხადება აშშ-ის საელჩომ ფეისბუქზე გაავრცელა. დიპლომატი საქართველოში მოგზაურობისკენ მოწოდებით გამოდის.

# ახლობელი რომ იყო და სიმამ იცნო, ამიტომ გაიმეტეს ასე საშინლად - თემქაზე მოკლულ ქალს დანითაც აქვს ჭრილობა მიყენებული?

***6 სექტემბერს, თემქაზე მომხდარი შემზარავი მკვლელობა ჯერჯერობით გაუხსნელია. დავუკავშირდით შსს-ს, სადაც გვითხრეს, რომ ამ ეტაპზე დანაშაულში ეჭვმიტანილი გამოძიებას არ ჰყავს. მოკლული ქალბატონის ოჯახის წევრები და ახლობლები მთავარ კითხვებზე ეძებენ პასუხს, ვინ და რატომ მოკლა ასე სადისტურად 62 წლის ქალი, სიმა მირზოევა-პივაზი.***

***თემქის მე-11 მიკრორაიონის 39-ე კორპუსში განგაში მას შემდეგ ატყდა, რაც მეზობელმა პივაზების ბინიდან გამოსული კვამლი დაინახა, ზედა სართულის მეზობელმა სცადა გაეგო რა ხდებოდა მეზობელთან და კარზე დააკაკუნა, თუმცა კარი არავინ გააღო. ამის შემდეგ საშველად სხვა მეზობლებს დაუძახა და სასწრაფოდ 112-შიც დარეკეს. დაურეკეს ბინის პატრონ ზურაბ პივაზსაც და მისგან გაიგეს, რომ ბინაში მისი მეუღლე უნდა ყოფილიყო. როგორც გაირკვა, თვითონ ზურა პივაზი დილის 8 საათზე წასულა სამსახურში.***

ბინის პატრონის მოსვლამდე მაშველები შეეცადნენ მეექვსე სართულის აივნიდან შეეღწიათ ცეცხლმოკიდებულ სახლში, თუმცა ამასობაში ოჯახის უფროსი დაბრუნდა და ძალოვნებს ბინის კარი მან გაუღო. მეზობლების თქმით, პოლიციამ ზურაბ პივაზი სახლში აღარ შეუშვა, მალე ისიც გაირკვა, რომ ბინაში ქალის ცხედარი იყო ნაპოვნი და დამნაშავეს დანაშაულის კვალის წაშლის მიზნით ცეცხლი გაეჩინა. ბუნებრივია, საქმეში პოლიცია ჩაერთო. მთელი დღის განმავლობაში ექსპერტ-კრიმინალისტები შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ და მტკიცებულებები ამოიღეს. მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

დილიდან საღამოს 8 საათამდე კორპუსთან შეკრებილი იყვნენ ნათესავები და კრიმინალისტების მუშაობის დასრულებას ელოდნენ. ქალის ნაწამები ცხედარი კი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. ბინაში საგამოძიებო მოქმედებებს თვალს ადევნებდა მოკლულის ვაჟი, რომელიც ტრაგედიის დროს შინ არ იმყოფებოდა. როგორც გვითხრეს, მას რამდენიმე დღის წინ შვილი შეეძინა და მეუღლის სახლში იყო წასული ცოლ-შვილთან ერთად. ერთი-ერთი ვერსიით, სავარაუდოდ, დამნაშავე ბინაში დასაყაჩაღებლად მივიდა...

როგორც ჩანს, მოძალადეს მსხვერპლმა წინააღმდეგობა გაუწია, ამას ადასტურებს ბინაში არსებული უმძიმესი ვითარება.

5 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მიეცათ პივაზის ბინაში შესვლის საშუალება მოკლულის დას, დისშვილებს და ნათესავებს. მათთან ერთად მე და ჩემი კოლეგაც შევედით, სადაც ენითაღწერელი ვითარება დაგვხვდა. სავარაუდოდ, ქალბატონი ლოჯიაში მოკლეს, რადგან იქაურობა მთლიანად სისხლით იყო დასვრილი. სისხლი იყო დივანთან, კედლებზე, ფარდებზე, ლოჯიას შესასვლელში... ოთახში პატარა მაგიდა იდგა, რომელზეც ელაგა ტკბილეული. მაგიდაზე და სკამზეც სისხლის კვალი აშკარად ეტყობოდა. ლოჯის შესასვლელთან იდგა ვინტილატორიც, რომელსაც ასევე ეტყობოდა სისხლის კვალი და დაზიანებულიც იყო.

***როგორც გავარკვიეთ, ცეცხლის კერები, რომელიც დამნაშავემ გააჩინა, მისაღებ ოთახსა და საძინებელში იყო. სავარაუდოდ, მან მისაღები ოთახიდან ლოჯიაში გასასვლელ კარს წაუკიდა ცეცხლი, მისაღებში ასევე ნახევრად დამწვარია კედლებიც. ცეცხლი ასევე გაჩენილია საძინებელ ოთახში, სადაც იატაკი ნახევრად დამწვარია. საძინებელ ოთახში სულ დაფლეთილი და დაჭრილი იყო ლეიბები და ბალიშები, თითქმის მთელ სახლში იყო მიმოფანტული ბალიშის ბუმბული. სავარაუდოდ, დამნაშავე ოქროულს ან ფულს ეძებდა.***

ახლობლების თქმით, ბინიდან დიდძალი ოქროა წაღებული, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის თანხა წაიღეს.

როგორც ნათესავები ამბობენ, ქალბატონი უცხო ადამიანს კარს არავითარ შემთხვევაში არ გაუღებდა. ამიტომ ისინი ვარაუდობენ, რომ საქმეში ახლობელი ფიგურირებს. მათი ვერსიით, სიმამ იმ დილით მის რომელიმე ნაცნობ ქალს გაუღო კარი.

“ნანამები სიმა ღამის პერანგშია ნაპოვნი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იმ დილით კარი ყველა შემთხვევაში ნაცნობს, სავარაუდოდ, ქალს გაუღო და შეიპატიჟა. მამაკაცს ის პერანგით კარს არავითარ შემთხვევაში არ გაუღებდა, თან ძალიან ფრთხილი ადამიანი იყო, თუ არ დაინახავდა სათვალთვალოდან ვინ იდგა კართან, იქამდე კარს არავის უღებდა. მაგიდაზე უნახავთ ყავის ორი ჭიქა, ყავა მოუდუღა ეტყობა ვიღაცას, უცხოს ყავას ხომ არ მოუდუღებდა. ითქვა, თავში ტაბურეტის ჩარტყმით მოკლესო. სისხლიანი ტაბურეტი წაუღია გამოძიებას, მაგრამ მას დანითაც აქვს ჭრილობა ყელის არეში მიყენებული. როგორც გვითხრეს, სხეულზეც ბევრი დაზიანება აქვს. ვაჟკაცური ქალი იყო, ეტყობა წინააღმდეგობა გაუწია, ან იცნო და ასე სასტიკად ამიტომ გაუსწორდნენ”, - გვითხრა მოკლულის ნათესავმა, რომელიც ცრემლებს ვერ იკავებდა”.

**ეთერ იმერლიშვილი, მეზობელი:**

- სერიოზული, კულტურული ოჯახი აქვთ. არასოდეს მათი სახლიდან ჩხუბის ხმა არ გამოსულა, ორი ბიჭი ჰყავთ. ერთი გერმანიაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, მეორე ვაჟი აქ ცხოვრობს, 5 დღის წინ ბიჭი შეეძინა, მისი მეუღლე ბავშვთან ერთად დედასთან იყო, ბიჭიც იქ იყო ღამის გასათევად წასული. სახლში მარტო ცოლ-ქმარი იყვნენ. ზურა მაკლერია და ყოველ დილით გადიოდა ბირჟაზე, იმ დილითაც წავიდა, მერე მალევე ატყდა ხმაური, რადგან კვამლი გამოდიოდა ბინიდან. მეუღლე მაშინვე მოვარდა, შიგნით არ შეუშვეს, ყვიროდა სიმა მანახეთო. სიმას ძმაც აქვე ახლოს ცხოვრობს და ისიც მოსული იყო. მიხვდნენ გარდაცვლილი რომ იყო. ნაწამებია, ბლაგვი საგანი აქვს თავში ჩარტყმულიო.

ვიცოდით, რომ ოქროული ბანკში ჰქონდა, გაზი და მაცივარი გამოიტანეს განვადებით და პენსიის ფულით იხდიდა. ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ყოველდღე ვხვდებოდი. დღეში რამდენჯერმე გადადიოდა დედამისთან, რომელიც აქვე ახლოს ცხოვრობს. მოხუცია და უვლიდა. არც ერთი მომდურავი მეზობელი სიმას არ ჰყოლია. ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თუ კარი გაუღო, დიდი ალბათობით, ნაცნობი იყო. ბინიდან გამოსულმა პოლიციელმა გვითხრა, ქალი ნაწამებია, გამურული იყო ცხედარი, მაგრამ დამწვარი არ არისო. ნეტა მიეცა, რასაც სთხოვდნენ, მაგრამ ალბათ მაინც მოკლავდნენ, ეტყობა იცნო და ამიტომ გაიმეტეს ასე საშინლად. ძვირფასი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ სიმას და ზურას, სიმა არსად მუშაობდა, დიასახლისი იყო. ხმაური არავის გაუგია. ცხედართან უნახავთ მისი საყურე, ეტყობა მოახსნევინეს, მაგრამ მისი წაღება დამნაშავეებმა ვეღარ მოასწრეს. ამ უბედურებაში შინაური რომ არ ერიოს, არ არსებობს, მომხდარით შეძრულები ვართ, მისი მკვლელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

თემქის მე-11 მიკრორაიონში მდებარე ამ საცხოვრებელ კორპუსს ერთი შესასვლელი აქვს. იქვე, სახლთან ახლოს არის მაღაზია, გამყიდველი ქალბატონი ამბობს, რომ იმ დილით უცხო ადამიანი კორპუსში შესული არ შეუნიშნავს. როგორ შეაღწიეს ბინაში დამნაშავეებმა, როგორ მოახერხეს ამ შემზარავი მკვლელობის შემდეგ იქაურობის შეუმჩნევლად დატოვება? - ეს და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ისიც უცნობია, ოფიციალურად რა ვერსიაზე მუშაობენ სამართალდამცავები. გამოძიება გრძელდება.

## მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

# გელა ალადაშვილი

ათი წელი უშენოდ ძალიან გაგვიჭირდა, გელა. 6 სექტემბერს 60 წელი შეგისრულდებოდა. ეს თარიღი ჩემთვის მწარეც არის და ტკბილიც. მწარე იმიტომ,რომ შენ აღარ მყავხარ გვერდით, ვეღარ იზიარებ ჩემს დარდსა და სიხარულს.მკლავს შენი მონატრება და არა მარტო შენი. შენი გარდაცვალების ორი თვის თავზე მამაც დავკარგე და ამ წლის 3 თებერვალს უკვე დედაც.

ტკბილი კი იმიტომაა,რომ ჩემი მარიკუნაც 6 სექტემბერს დაიბადა.ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს. უკვე სტუდენტი გახდა.ამ ყველაფერს მხოლოდ

თქვენს საფლავებს ვუყვები....

**სიყვარულით,**
**შენი და** დალი ალადაშვილი,
**სიძე** ვანო, **დის შვილები:** ირაკლი, მარიამ ჯულულაშვილები.

# რქაწითელს 70 თეთრად იბარებენ, მწვანეს – 85 თეთრად, საფერავის ფასი კი 1.50 ლარია

კახეთში რთველი დაიწყო. მოსახლეობისგან ყურძენს თელავში, გურჯაანში, წნორსა და თბილისში რამდენიმე საწარმო იბარებს. რქაწითელის ჯიშის ხარისხიანი ყურძნის მისაღები ფასი 70 თეთრია, კახურ მწვანეს 85 თეთრად იბარებენ, საფერავის ფასი კი 1.50 ლარია.

რთველი 2019 აქტიურ ფაზაში შედის. ამ დროისთვის კახეთის რეგიონში 11 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე რთველის მიმდინარეობას სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში გაეცნო და რამდენიმე ისეთ მცირე მარანს ესტუმრა, რომლებიც ახლა იწყებენ ღვინის წარმოებასა და ბაზარზე რეალიზაციას.

ტყემალაძის განცხადებით, სახელმწიფოს ხელშეწყობით მცირე მარნების რაოდენობა კახეთის რეგიონში ბოლო წლებში რამდენჯერმე გაიზარდა და ამჟამად მარტო კახეთში 500-ზე მეტს ითვლის. მისივე თქმით, ეს მიანიშნებს, რომ მეღვინეობის ინდუსტრია სწორი მიმართულებით ვითარდება, ევროპის განვითარებული მეღვინეობის ქვეყნების ანალოგიურად.

წელს კახეთში 200-250 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდებიან. რთველი 2019-ის საკოორდინაციო შტაბი თელავში განთავსდა.

## კახეთის პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

კახეთის პოლიციის დეპარტამენტს ახალი დირექტორი ჰყავს. აღნიშნულ თანამდებობაზე შოთა ჭანუყვაძე 36 წლის ზურაბ ბერიკაშვილმა ჩაანაცვლა.

ბერიკაშვილი 2017 დეკემბრიდან დღემდე, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო.

2016 წელს ის კონტრტერორისტული ცენტრის პირველი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

კახეთის სამხარეო პოლიციის უკვე ყოფილი დირექტორი შოთა ჭანუყვაძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციაზე გაგრძელებს მუშაობას.

## გურჯაანში ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

გურჯაანში ცხოველთა რეგიონალური თავშესაფრის მშენებლობა დაიწყება. მუნიციპალური განვითარების ფონდმა ტენდერი სამუშაოების შესყიდვაზე 3 სექტემბერს გამოაცხადა, სავარაუდო ღირებულება 1 941 595 ლარია.

ტენდერის პირობების თანახმად, პირველ ეტაპზე დაგეგმილია 100 ძაღლზე გათვლილი ზაფხულის ვოლიერების, ადმინისტრაციული შენობის, ლაბორატორიის, პოსტოპერაციული ბლოკის, დაცვის შენობის და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობა, ხოლო მეორე ეტაპზე განხორციელდება ზამთრის ვოლიერების მოწყობა.

სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ჭაბურღილიდან, ხოლო ვინაიდან მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არ არის კანალიზაციის ქსელი დაგეგმილია ბიოლოგიური გამწმენდის მოწყობა, გაწმენდილი წყლის გადადინება ტუმბოების საშუალებით მოხდება ალაზნის არხში.

სატენდერო წინადადებების მიღება 20 სექტემბრიდან დაიწყება და 25 სექტემბრის ჩათვლით გასტანს.

გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 10 თვის ვადაში უნდა შეასრულოს.

# ულოცავენ!

### ბესიკ თოფჩიშვილს და მარინა მეხრიშვილს!

სააქციო საზოგადოება „ნობეკოს“ თანამშრომლები ვუერთდებით თქვენს დიდ სიხარულს და გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. **გულნარა თოფჩიშვილს** და **აჩიკო ლაზაშვილს** კი ვუსურვებთ დიდ სიყვარულს, სიხარულს და შვილთა სიმრავლეს...

### ანასტასია ყოჩიაშვილს

გილოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ფაკულტეტზე 100 პროცენტიანი გრანტით ჩარიცხვას.გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს. ვამაყობთ შენით!

**დიდი სიყვარულით,**
**მამიდა** ნონა, **ბიძა** ზაზა, **მამიდაშვილები**: გიორგი და დავით კიკაძეები.

### მარინა მეხრიშვილს! ბესიკ თოფჩიშვილს!

ჩემო მარინა და ჩემო ბესო, გილოცავთ შვილების **გულნარა თოფჩიშვილის და აჩიკო ლაზაშვილის** ქორწინებას. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით და ერთგულებით მსუმბუქად ეტარებინოთ ოჯახის უღელი, იყვნენ ბედნიერები, გამრავლდნენ და გაიხარონ. თქვენ კი მათი სიხარულით იყავით ბედნიერები.

**სიყვარულით და პატივისცემით,**
ნაირა გორაშვილი ოჯახით.

### მაია გონაშვილს, ვაჟა ბახტაძეს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს სიხარულს პირველი შვილიშვილის **ანა ბახტაძის** დაბადებასთან დაკავშირებით. ღმერთმა გაზარდოს ბედნიერი, ჯანმრთელი და გონიერი, ისეთი კაცთმოყვარე და ჰუმანური, როგორებიც თქვენ ხართ. პატარა **ანას მშობლებს პეტრე ბახტაძეს და რუსუდან გოგატიშვილს, ვაჟა ბაბუას და მაია ბებოს, მამიდა თამთას** – ყველას გილოცავთ ამ დიდ სიხარულს და კვლავაც აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ.

**პატივისცემით,**
ფატი და ლუიზა ზურაშვილები.


## ყურადღება!

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა** აცხადებს მიღებას 2019-2020 სასწავლო წლისათვის. მიიღებიან ბავშვები საფორტეპიანო და სავიოლინო განყოფილებებზე 8 წლიდან 12 წლამდე და სამხატვრო განყოფილებაზე10 წლიდან. განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 555450650, 577178788 ან მოგვმართეთ მისამართზე: 9 ძმის ქუჩა №2

## იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000$. (ფასზე შეთანხმება შესაძლებელია).
☎ 599 855832

იყიდება საჯარო რეესტრის მალლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ
☎ 591092478


## ამინდი — დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 09.09 | | სამშაბათი 10.09 | | ოთხშაბათი 11.09 | | ხუთშაბათი 12.09 | | პარასკევი 13.09 | | შაბათი 14.09 | | კვირა 15.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 16 ° | 14 ° | 15 ° | 13 ° | 15 ° | 13 ° | 16 ° | 14 ° | 17 ° | 14 ° | 17 ° | 15 ° | 16 ° | 14 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.